1. **პროგრამის სახელწოდება:** აფხაზოლოგია

2. **პროგრამის ხელმძღვანელი:** სრული პროფესორი თეიმურაზ გვანცელაძე

3. **მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:** კავკასიოლოგიის მაგისტრი (აფხაზოლოგია)/ MA in Caucasian Studies (Abkhazology)

4. **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:**
   - ჰუმანიტარულ, სოციალურ ან პოლიტიკურ მეცნიერებათა ბაკალავრის ხარისხი.
   - პროგრამაზე დაშვება შესაძლებელია მხოლოდ ერთიანი სამაგისტრო გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში.

5. **სამაგისტრო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:**

მიზანი: პროგრამის მიზანია მაგისტრის აკადემიური ხარისხის შესაბამისი ცოდნისა და უნარ-ჩვევების მქონე, აფხაზური ენის, აფხაზური ფოლკლორის, აფხაზური ლიტერატურის ისტორიის, აფხაზი ხალხის ეთნოგრაფიის მცოდნე მკვლევარი კავკასიოლოგების მომზადება. ეს ამოცანა აქტუალურია როგორც წმინდა შემეცნებითი, ისე იდეოლოგიურ-პოლიტიკური და კულტუროლოგიური თვალსაზრისით.

შემეცნების პოზიციიდან აღსანიშნავია, რომ ქართველურ ენა-კილოთა სრულყოფილად კვლევა შეუძლებელია მონათესავე მთის იბერიულ-კავკასიურ ენებში, მათ შორის აფხაზურში დღემდე შემორჩენილი უნიკალური არქაული მონაცემების გათვალისწინების გარეშე და, პირიქით, აფხაზური ენის სრულყოფილად კვლევისათვის აუცილებელია, მდიდარი, მრავალსაუკუნოვანი წერილობითი ტრადიციის მქონე ქართული ენისა და მის დიალექტთა მონაცემების გათვალისწინება.

ასევე ქართული ფოლკლორის, ქართველი ერის ისტორიისა და კულტურის კვლევა წარმოუდგენელია აფხაზი ხალხის მიერ შექმნილი ზეპირსიტყვიერების, ისტორიისა და კულტურის მონაცემთა გაუთვალისწინებლად და, პირიქით, სხვა აფხაზური ფოლკლორი, ისტორია და კულტურა სრულყოფილად ვერ იქნება გამოკვლეული ქართულ ფოლკლორთან, საქართველოს ისტორიასთან და ქართულ კულტურასთან დაუკავშირებლად და ქართულ წერილობით წყაროთა ცნობების გათვალისწინების გარეშე.

კულტუროლოგიური და იდეოლოგიურ-პოლიტიკური თვალსაზრისით აღსანიშნავია, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დიდ ქართველ მეცნიერთა (ივ. ჯავახიშვილის, არნ. ჩიქობავას, ს. ჯანაშიას, განსაკუთრებით კი ქეთევან ლომთათიძის) ძალისხმევით დაარსებისთანავე გადაიქცა კავკასიოლოგიის უმთავრეს და უმძლავრეს სამეცნიერო ცენტრად. სწორედ ამ უნივერსიტეტში აღზრდილი თუ მასთან მჭიდრო თანამშრომლობით დაკავშირებული აფხაზი ლინგვისტების, ლიტერატურისმცოდნეების, ფოლკლორისტების, ისტორიკოსების, ეთნოგრაფ-ეთნოლოგების, კულტუროლოგების უმრავლესობა იყო და ამჟამადაც არის საქართველოსა და ქართველი ერის მოკეთეები. მათ მოღვაწეობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს აფხაზი და ქართველი ხალხების მშვიდობიანი თანაარსებობისათვის, მათ შორის ტრადიციული კეთილი ურთიერთობის აღსადგენად.

აფხაზოლოგიის სამაგისტრო პროგრამის გავლის შემდეგ ახალგაზრდა მკვლევარს პრაქტიკულად ეცოდინება აფხაზური ენა, აფხაზურ ფოლკლორი, აფხაზური ლიტერატურის ისტორია, აფხაზი ხალხის ეთნოგრაფია, აფხაზურ-ქართული ლინგვოკულტურული ურთიერთობების ისტორია; გამოიმუშავებს უკვე არსებული სამეცნიერო თვალსაზრისთა ობიექტური შეფასების, კონკრეტული ენობრივი, ფოლკლორული და მხატვრული მასალის მოპოვების, სისტემატიზაციისა და სწორი მეთოდოლოგიით ანალიზის ჩვევებს; შეითვისებს დებულებათა არგუმენტირებისა და საჯაროდ წარმოდგენის უნარ-ჩვევებს.

შედეგები:

- აფხაზოლოგიის სამაგისტრო პროგრამის დასრულების შედეგად მიღებული ცოდნა და მეცნიერული კვლევის უნარი კურსდამთავრებულს შესაძლებლობას მისცემს ყოველმხრივ გამოიყენოს, შეისწავლოს და სხვებისთვის ხელმისაწვდომი გახადოს აფხაზური ენისა და დიალექტების მონაცემები;
- კურსდამთავრებული შეძლებს აფხაზური ენისა და დიალექტების კომპიუტერულ დამუშავებას; მონაცემთა ბაზის შედგენას ინდექსებითა და საძიებლებით; დამოუკიდებელი კვლევისთვის საჭირო ბიბლიოგრაფიის მომზადებასა და ათვისებას, როგორც ქართულ, ისე უცხოურ ენებზე თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით;
- მაგისტრანტი პროგრამის ფარგლებში მიღებული ცოდნის საფუძველზე შეძლებს აფხაზური ენისა და დიალექტების კომპარატივისტული, დესკრიპციული, ტიპოლოგიური მეთოდების გამოყენებით კვლევას;
- მაგისტრანტს ექნება ანალიზისა და სინთეზის უნარი, შეეძლება კავკასიოლოგიის ფარგლებში აფხაზურთან დაკავშირებული პრობლემის გადაჭრისა და გადაწყვეტილების მიღების უნარი, დროის სწორად გამოყენების, ჯგუფში, მათ შორის ინტერდისციპლინარულ კვლევებზე ორიენტირებულ, სამეცნიერო ჯგუფში მუშაობის უნარი;
- მაგისტრანტს კურსის დასრულების შემდეგ ეცოდინება და თავისუფლად გამოიყენებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, ექნება მულტიმედია კომპეტენცია, რომელიც ხელს შეუწყობს აფხაზოლოგიის პრობლემატიკის კვლევისას მათ შემოქმედებით და კრიტიკულ გამოყენებას;
- შეეძლება ეფექტიანი მუშაობა დამოუკიდებლად და ჯგუფში, როგორც წევრის, ისე ხელმძღვანელის როლში; შეეძლება ამოცანების მკაფიოდ ჩამოყალიბება, ჯგუფის სხვა წევრთა შესაძლებლობლების სწორად გამოყენება, კონფლიქტური სიტუაციების აცილება;
- მაგისტრანტს შეეძლება სასწავლო რესურსების სრული სპექტრის გამოყენება; კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა და მისი განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით;
- მაგისტრანტს შეეძლება აკადემიური პროექტის შემუშავება და მართვა;
- იქნება დამოუკიდებელი და თვითკრიტიკული სწავლისა და მუშაობის დროს, ინიციატივიანი და პასუხისმგებლობის მქონე პროფესიულ პრაქტიკაში.

დასაქმების სფეროები: სამაგისტრო პროგრამის ათვისების შემდეგ ახალგაზრდა სპეციალისტს შეეძლება იმუშაოს იმ სკოლებში დაწყებით (პედაგოგიკაში სათანადო რაოდენობის კრედიტების მიღების შემდეგ), სადაც ისწავლება აფხაზური ენა და ლიტერატურა; კურსდამთავრებულს უფლება ექნება, იმუშაოს საქართველოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იმ სამთავრობო სტრუქტურებში, სადაც არსებობს საჭიროება აფხაზური ენის ცოდნისა; კერძო არასამთავრობო ორგანიზაციებში, მასმედიაში, ტურიზმის დარგში და ა.შ.

სწავლის გაგრძელების საშუალება: მაგისტრს შეუძლია სწავლა გააგრძელოს დოქტორანტურაში.